საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ძუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია

პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა კუპრაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თსსა პროფესორი

დამტკიცებულია თსსა რესტავრაციის, ხელოვნების სიტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2022 წლის 19 ივლისის სხდომის ოქმი # 7

თსსა აკადემიური საბჭოს 2022 წლის 20 აგვისტოს სხდომის ოქმი N48

ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის საბაკალავრო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ პრიორიტეტს ეროვნული კულტუტული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სხვადახვა მიმართულების სპეციალისტების მომზადება წარმოადგენს.
კონსერვცია-რესტავრაცია ინტერდისციპლინური, დარგთაშორისი მეცნიერებაა და გამოირჩევა განსაკუთრებული კომპლექსურობით. სფერო კონსერვაციის მიმართულების გარდა მოიცავს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, შესაბამისად კონსერვატორ-რესტავრატორი უნდა ფლობდეს არამხოლოდ კონსერვაციის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, არამედ მომიჯნავე დარგების, მაგ., ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, ფიზიკის, ისტორიის, ხელონების ისტორიის თეორიულ ცოდნასა და სახელოვნებო ანალიზის უნარ-ჩვევებს.

სწორედ ამიტომ ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაცია/რესტავრაციის საბაკალავრო პროგრამა ფოკუსირებულია სტუდენტს გააცნოს და შეასწავლოს კონსერვაცია-რესტავრაცია, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება (რომელიც ასევე მოიცავს საბუნებისმეტყველო საგნებსა და ხელოვნების ისტორიასა და თეორიას). პროგრამა ასწავლის კონსერვაციის დარგის ძირითად პრინციპებს, მიდგომებს, თანამედროვე თეორიებს და ზრუნავს სტუდენტის პროფესიული ეთიკის გამომუშავებასა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე. პროგრამა ორიენტირებულია კონსერვატორ-რესტავრატორების მომზადებაზე, რომლებიც (როგორც ინდივიდუაალურად, ისე ჯგუფური მუშაობის შედეგად) შეძლებენ მოძრავი და უძრავი ძეგლების (ხეზე, ტილოზე და ქაღალდზე შესრულებული ნიმუშების, მცირე ხელოვნების ნიმუშების - მინა/კერამიკისა და ლითონის, ასევე კედლის მხატვრობის, ქვისა და სხვა სამშენებლო მასალისგან შემდგარი ძეგლების), ღირებულების დადგენას, საბაზისო საკონსერვაციო კვლევას (ტექნოლოგიის, დაზიანებებისა და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა), შესაბამისი საბაზისო საკოსნერვაციო საჭიროებების განსაზღვრას და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, საბაზისო ჩარევებით ძეგლების ფიზიკურ სტაბილიზაციას/მკურნალობას (კონსერვაცია/რესტავრაციას).

ფართო სფერო (მიმართულება): 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები
ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე)
დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0222 ისტორია და არქეოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 0222.1.3 ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის ბაკალავრი
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)
სწავლების ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები:

1. სტუდენტს გააცნოს კონსერვაცია-რესტავრაციის, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერების არსი. ასევე შეასწავლოს დარგის ძირითადი პრინციპები, მიდგომები, თანამედროვე თეორიები და პროფესიული ეთიკის ნორმები. აგრეთვე გააცნოს როგორც დამოუკიდებელი, ასევე გუნდური მუშაობის მნიშვნელობა;

2. სტუდენტს გააცნოს ხელოვნების ნიმუშთა კულტურული ღირებულებები და გამოუმუშაოს ამ ღირებულებათა დადგენის უნარ-ჩვევები;

3. სტუდენტს მისცეს ხელოვნების ნიმუშების, კერძოდ:

✓ ხეზე, ტილოზე და ქაღალდზე შესრულებული ნამუშევრების

✓ მცირე ხელოვნების ნიმუშების - მინის, კერამიკისა და ლითონის

✓ კედლის მხატვრობის

✓ ქვისა და სხვა სამშენებლო მასალისგან შემდგარი ძეგლების და ნიმუშების კონსერვაცია-რესტავრაციის შესახებ საბაზისო ცოდნა და ამ მიმართულებებში გამოუმუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევები;

4. სტუდენტს მისცეს ცოდნა ხელოვნების ნიმუშთა მასალის და ტექნიკა -ტექნოლოგიის შესახებ;

5. სტუდენტს მისცეს ცოდნა ხელოვნების ნიმუშთა დაზიანების ტიპების და მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზების შესახებ;

6. სტუდენტს გამოუმუშაოს ხელოვნების ნიმუშთა საბაზისო კვლევის, კერძოდ ტექნოლოგიის, დაცულობის მდგომარეობის (დაზიანებების) და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზების განსაზღვრის უნარი;

7. სტუდენტს გამოუმუშაოს ძირითადი საკოსნერვაციო-სარესტავრაციო ღონისძიებების საჭიროებების განსაზღვრის, მათი საჭიროების დასაბუთებისა და სწორად დაგეგმვის უნარი;

8. გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, სტუდენტმა ხელმძღვანელის ზედამხედველობით შეძლოს ხელოვნების ნიმუშზე ადეკვატური საკონსერვაციო - სარესტავრაციო ჩარევების განხორციელება;

9. სტუდენტს მისცეს ცოდნა საკონსერვაციო-სარესტავრაციო დარგში გავრცელებული დოკუმენტაციის ფორმების, მათი შედგენის პრინციპის შესახებ და გამოუმუშაოს საკონსერვაციო-სარესტავრაციო დოკუმენტაციის შედგენისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები;

10. სტუდენტს მისცეს ცოდნა მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიის განვითარების ეტაპებისა და დამახასიათებელი სტილისტური ნიშნების შესახებ (უძველესი დროიდან დღემდე), ასევე მისცეს მხატვრული ანალიზის პრინციპებისა და შეფასების კრიტერიუმების ცოდნა და გამოუმუშაოს შესაბამისი უნარები.

11. ბაკალავრს მისცეს საბაზისო ცოდნა იმ საბუნებისმეტყველო საგნებში (ქიმია, ბიოლოგია, მინერალოგია-პეტროგრაფია), რომელებიც აუცილებელია საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

საბაკალავრო პროგრამის შედეგები :

რესტავრაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება პროგრამის მიზნებს.
პროგრამაზე სწავლის დასრულების შედეგად სტუდენტს გაცნობიერებული ექნება, რომ რესტავრაცია/კონსერვაცია ინტერდისციპლინური დარგია. მას ეცოდინება დარგის ძირითადი პრინციპები, მიდგომები, თანამედროვე თეორიები და გამომუშავებული ექნება პროფესიული ეთიკის ძირითადი ნორმები და ცამოუყალიბდება პასუხისმგებლობის გრძნობა. ასევე, მას გამომუშავებული ექნება ხელოვნების ნიმუშების ღირებულების დადგენის, საბაზისო საკონსერვაციო კვლევის (ტექნოლოგიის, დაზიანებებისა და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა) ჩატარების, შესაბამისი საბაზისოსაკოსნერვაციო საჭიროებების განსაზღვრის უნარი და ამის შედეგად იგი ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, იგი შეძლებს საბაზისო ჩარევებით ძეგლების ფიზიკურ სტაბილიზაციას/მკურნალობას

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

შედეგი 1
ბაკალავრმა იცის კონსერვაცია-რესტავრაციის ძირითადი პრინციპები, მიდგომები და თეორიები. იცის და აცნობიერებს პროფესიული ეთიკის პრინციპებსა და ნორმებს და ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს პრაქტიკული საკონსერვაციო-სარესტავრაციო და თეორიული სამუშაოების დროს;
შედეგი 2
ბაკალავრმა იცის საკონსერვაციო - პრევენციული, პასიური და პირდაპირი/ ფიზიკური ჩარევების ძირითადი ეტაპები და მეთოდები.
შედეგი 3
ბაკალავრმა იცის ხელოვნების ნიმუშების, კერძოდ:
✓ ხეზე, ტილოზე და ქაღალდზე შესრულებული ნამუშევრების
✓ მცირე ხელოვნების ნიმუშების - მინის, კერამიკისა და ლითონის
✓ კედლის მხატვრობის
✓ ქვისა და სხვა სამშენებლო მასალისგან შემდგარი ძეგლებისა და ნიმუშებისმასალა და ტექნიკა-ტექნოლოგია;
შედეგი 4
ბაკალავრმა იცის ხელოვნების ნიმუშის დაცულობის მდგომარეობის (დაზიანებების) და დაზიანებათა გამომწვევი ძირითადი მიზეზების განსაზღვრის გზები;
შედეგი 5
ბაკალავრმა იცის მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიის განვითარებისეტაპები,

მისი დამახასიათებელი სტილისტური ნიშნები (უძველესი დროიდან დღემდე), ასევე იცნობს მხატვრული ანალიზის პრინციპებსა და შეფასების კრიტერიუმებს.
შედეგი 6
ბაკალავრს აქვს საბაზისო ცოდნა იმ საბუნებისმეტყველო საგნებში (ქიმია, ბიოლოგია, მინერალოგია-პეტროგრაფია) და აცნობიერებს მათ მნიშვნელოვანებას საკონსერვაციო-სარესტავრაციო სფეროსთვის.

<u>უნარი</u>
შედეგი 7
ბაკალავრს აქვს უნარი სამეცნიერო მიდგომით, ემპირიული დაკვირვებითა და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენებით განსაზღვროს ხელოვნების ნიმუშის ძირითადი შემადგენელი მასალა და შესრულების ტექნიკა- ტექნოლოგია.
შედეგი 8
ბაკალავრს უნარი აქვს სამეცნიერო მიდგომით, ემპირიული დაკვირვებითა და ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენებით განსაზღვროს ხელოვნების ნიმუშის დაცულობის მდგომარეობა, გამოავლინოს ძირითადი დაზიანებები, მათი ტიპები და სახეობები.
შედეგი 9
ბაკალავრს აქვს უნარი განსაზღვროს როგორც, ხელოვნების ნიმუშის დაზიანებისგამომწვევი ძირითადი მიზეზები (დასვას პრობლემა), ასევე განსაზღვროს და დაგეგმოს ადეკვატური საკონსერვაციო ღონისძიებები;
შედეგი 10
ბაკალავრს შუძლია ინდივიდუალურად და ჯგუფურად აწარმოოს საკონსერვაციო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს გრაფიკულ, ვიზუალურ (ფოტო) და ტექსტურ ფორმებს. ასევე შეუძლია ჩატარებული სამუშაოს, დოკუმენტაციის ზეპირსიტყვიერი წარდგენა, პრეზენტაცია და კოლეგებთან პროფესიული კომუნიკაციის დამყარება.
შედეგი 11
ბაკალავრს შეუძლია დაამუშაოს, გააანალიზოს სააქრივო მასალა და პროფესიული ლიტერატურა, ასევე გააკეთოს ხელოვნების ნიმუშის სტილისტური, მხატვრული ანალიზი და გამოიტანოს ადეკვატური დასკვნები.

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</u>
შედეგი 12
ბაკალავრი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ხელოვნების ნიმუშების დაცვა-შენარჩუნების კუთხით და საკონსერვაციო საქმიანობას უდგება კეთილსინდისიერად, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.
შედეგი 13
ბაკალავრს შეუძლია ხელმძღვანელის ზედამხედველობით განახორციელოს ხელოვნების ნიმუშთა საბაზისო კვლევები და პრაქტიკული საკონსერვაციო- სარესტავრაციო სამუშაო.

შედეგი 14
ბაკალავრს შეუძლია ვიზუალური დაკვირვებები და გარკვეული
საბაზისო ჩარევები განახორციელოს, როგორც დამოუკიდებლად,
ასევე ჯგუფთან ანგუნდთან ერთად.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში

- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე

პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (ჩასაბარებელი საგნები პრიორიტეტის მიხედვით):

სავალდებულო საგნები: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 4); 2. უცხო ენა (კოეფიციენტი 4).

არჩევითი საგნები პრიორიტეტების მიხედვით:

1. ისტორია (კოეფიციენტი 4); 2. ქიმია (კოეფიციენტი 4); 3. მატემატიკა (კოეფიციენტი4)

- ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრმაზე ჩარიცხვა ხორციელდება

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა

მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

სწავლის ხანგრძლივობა

4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა არის 21 კვირა, მათ შორის: სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის – 1 კვირა. (თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მუხლი 15, პუნქტი 15.3)

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება რესტავრაცია/კონსერვაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი "დიპლომის დანართი".

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს **240 ECTS** და მისი სტრუქტურა ამგვარია:

სპეციალობის სავალდებულო საგნები – 170 ECTS

შემოქმედებითი უნარების საგნებს – 10 ECTS

არჩევით სპეცსაგნებს – 25 ECTS,

ზოგადსაუნივერსიტეტო (არჩევით) საგნებს – 25 ECTS

საბაკალავრო ნაშრომი – 10 ECTS.

პროგრამა მკაფიოდ გამოყოფს სახვითი ხელოვნების ნიმუშების 7 მიმართულებას, რომელთაც მაქსიმალურად თანაბრად აქვთ გადანაწილებული კონსერვაცია-რესტავრაციის თეორიული და პრაქტიკული საგნები ტექნოლოგიის, დაზიანებებისა და ჩარევების კუთხით:

1. ხელოვნების ნიმუშები ხის საფუძველზე (12.5 კრედიტი)
2. ხელოვნების ნიმუშები ტილოს საფუძველზე (12.5 კრედიტი)
3. ხელოვნების ნიმუშები ქაღალდის საფუძველზე (12.5 კრედიტი)
4. მცირე ხელოვნების ნიმუშები - მინა, კერამიკა (10 კრედიტი)
5. მცირე ხელოვნების ნიმუშები - ლითონი (10 კრედიტი)
6. კედლის მხატვრობა (12.5 კრედიტი)
7. ქვისა და სხვა სამშენებლო მასალები (12.5 კრედიტი)

პროგრამას აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საგნების ჯგუფი/ სასწავლო ბლოკი, როგორიცაა ხელოვნების ნიმუშის რეკონსტრუქციის პრინციპი და ტექნიკა, სხვადასხვა ჩარევის ანალიზი (12.5 კრედიტი).

გარდა ამისა, გაძლიერებულია ყველა მიმართულებისთვის საჭირო საერთო თეორიული საგნებიც (ჯამში 20 კრედიტი)